საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

20/07/2018
N 1900

1900-09-02-11-3-201807201633

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის

დეპარტამენტის უფროსს ბატონ ვაჟა ცეცხლაძეს

ბატონო ვაჟა,

2018 წლის 16 ივლისის #1838 წერილის - ბავშვთა უფლებების კუთხით ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის საქმიანობის შესახებ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფაქტჩეკის“ მიერ დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვაზე გაცნობებთ, რომ კომიტეტის ხედვაზე რეგიონში არსებულ ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე და შესაბამის აქტივობებზე 2018 წლის N 1760 წერილშია აღწერილი. კომიტეტი პერიოდულად ეცნობა ამ მიმართულებით გამოქვეყნებულ ანგარიშებსა და კვლევებს, ახორციელებს ინფორმაციული ხასიათის შეხვედრებს რეგიონში ცნობიერების ამაღლებისა და ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით.

რაც შეეხება დამატებით შეკითხვებს, გაცნობებთ შემდეგს:

- აჭარის მუნიციპალიტეტებს ბავშვთა მიმართ რეფერირების პროცესში კომიტეტისთვის დახმარების თხოვნით არ მოუმართავთ;
- რეფერირების მექანიზმში ჩართული პირების, ბავშვის მიმართ ძალადობაზე სათანადო და დროული რეაგირებისთვის, ცნობიერების დონის ამაღლების ღონისძიებების გატარებას კომიტეტი ეტაპობრივად განახორციელებს გაწერილი გრაფიკის გარეშე;
- ცნობიერების დონის ამაღლებისთვის იმუშავებს კომიტეტი, გამოყენებული იქნება შესაბამისი კანონმდებლობა, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო აქტები;
- ბავშვთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით კომიტეტს კომუნიკაცია ექნება ყველა იმ უწყების წარმომადგენელთან, რომლებიც შემხებლობაშია ბავშვთა უფლებებთან;
- ბავშვის მიმართ ძალადობის, შრომითი ექსპლუატაციისა და განათლების შეზღუდვის ფაქტებზე კომიტეტში მომართვიანობა არ ყოფილა.
- ბავშვთა უკანონო შრომის წინააღმდეგ საჯარო განცხადება გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარემ (12.06.2018წ.), რომლითაც რეკომენდაციით მიმართა შესაბამის უწყებებს. აღნიშნულზე ინფორმაცია მოგეწოდათ 2018 წლის N 1760 წერილით.

პატივისცემით,
ბაკურ ბოლქვაძე

აპარატის უფროსი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის აპარატი